ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N2

სხდომის ჩატარების დრო:
24 ნოემბერი, 2025 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **გიორგი იობაშვილი.**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მარეხი ნიჟარაძე, ამირან კოპალეიშვილი, ალეკო თამაზაშვილი, მამუკა სინაურიძე, კობა ფხაკაძე, თეკლა მებურიშვილი.

სულ: 7 წევრი.

არ ესწრებოდნენ: გიორგი ჭიღვარია, მაგდა კოსტავა, ლაშა გვენეტაძე.

სულ: 3 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი **დავით ჭეიშვილი,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი **ოთარ ფანცხავა,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები აკაკი გიორგაძე, იოსებ კუჭავა, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **იმედა საღინაძე.**

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **გიორგი იობაშვილმა** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **გიორგი იობაშვილმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 7 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიორგი ჭიღვარია, მაგდა კოსტავა, ლაშა გვენეტაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ“**

განსახილველი საკითხის შესახებ კომისიური შენიშვნები წარმოადგინა ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **გიორგი იობაშვილმა:** „აღმასრულებელი ორგანოს მიერ წარმოდგენილ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტში ინფრასტრუქტურის პროგრამის რამდენიმე ქვეპროგრამის, კერძოდ, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების სრული რეაბილიტაცია, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების წყალსაწრეტი მილების და პარაპეტების რეაბილიტაცია, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მცხოვრებთათვის სხვადასხვა სახეობის მასალის შეძენა-გადაცემა და დაზიანებული სახურავების კაპიტალურად შეკეთება, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარდაფებში წყლის ამოსატუმბი მოწყობილობების შესყიდვა-გადაცემა, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების ავარიული სახურავების რეაბილიტაცია, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების ფურნიტურა, ბიუჯეტი განსაზღვრულია 0 ლარით.

გამომდინარე იქედან, რომ, ზემოხსენებულ ქვეპროგრამებთან დაკავშირებით, ქალაქის მოსახლეობის მიერ საკმაოდ დიდი მომართვიანობაა (სადარბაზოების რეაბილიტაცია -173 სადარბაზო, სახურავების კაპიტალური შეკეთება-231 განცხადება, ლიფტების რეაბილიტაცია-167 განცხადება(304 სადარბაზო), სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ავარიული სახურავების გადახურვა-16 გაცხადება, პარაპეტების რეაბილიტაცია-72 განცხადება, სარდაფებში დამდგარი წყლის ამოსატუმბი მოწყობილობის შესყიდვა-გადაცემა-27 განცხადება, დაზიანებული კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია-51 სადარბაზო) საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას

მიზანშეწონილად მიაჩნია, გამოიძებნოს შესაბამისი თანხები და ასახვა ჰპოვოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის ინფრასტრუქტურის პროგრამის შესაბამის ქვეპროგრამებში. შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელს ვთხოვთ, განმარტების გაკეთებას აღნიშნულთან დაკავშირებით."

კომისიის წევრი ქალბატონი **მ.ნიჟარაძე:** „მოგახსენებთ მე ამავდროულად ვარ გადაუდებელი დახმარების კომისიის წევრი და უამრავი განცხადება შემოდის სოციალურად დაუცველთა შიდა ინფრასტრუქტურის მოწყობასთან დაკავშირებით, (მაგალითად ითხოვს ფანჯრის ჩასმას, ჩანგრეული იატაკის რეაბილიტაციას და ა.შ.) ეს და მსგავსი საკითხები ხსენებული კომისიის კომპეტენციას სცდება და ჩვენ ვერ ვახორციელებთ მიზნობრიობით თანხის გამოყოფას, ამასთან დაკავშირებით იქნებ დაემატოს პატარა მუხლი, სოციალურად დაუცველებისათვის შიდა, მცირე ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, რასაც განახორციელებს აღმასრულებელი, უფრო მიზნობრივად დახარჯავს თანხებს და გავა შედეგზე. ეს იყო ჩემი მხრიდან რეკომენდაციის სახით გაჟღერებული ინფორმაცია."

კომისიის წევრი ბატონი **ა.კოპალეიშვილი:** „დავამატებ აქვე, წინა წლებში საბინაოს ერთ-ერთ პროგრამაში იყო ასეთი ჩანაწერი, საერთო სივრცეებში ე.წ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში 100%-იანი დაფინანსებით შეგვეძლო ძელ-სკამების განთავსება, ახლა მხოლოდ ამხანაგობებს შეუძლიათ თანამონაწილეობით მოითხოვონ მათი დადგმა, ჩემი რეკომენდაცია იქნება, ხომ არ სჯობს დავფიქრდეთ, დავაბრუნოთ ძველი პრაქტიკა და თავისუფალი თავშეყრის ადგილებშიც მიეცეთ საშუალება დადგან ძელ-სკამები. განსაკუთრებით მაჟორიტარები დამეთანხმებით, რამდენად მზარდია მოთხოვნა, მიუხედავად იმისა, რომ შემდეგ მოსახლეობის მხრიდან ადგილი აქვს უდიერად მოპყრობას და ვანდალიზმს. ჩემი მოსაზრებაა, რომ მოსახლეობის აზრი გავითვალისწინოთ შეძლებისდაგვარად."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **ოთარ ფანცხავა:** „მოგესალმებით, ჩვენს მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი, კერძოდ, ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით, მოიცავს 16962000 ლარს, იმ რესურსების ფარგლებში, რაც ჩვენ გვაქვს საკუთარი სახსრებით, წარმოდგენილია შემდეგი მიმართულებით, საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება-4142000, გარე განათება და საგზაო ნიშნები-4490000, მშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია-100 000, ბინათმესაკუთრეთა მხანაგობის განვითარება-80 000, ქალაქის კეთილმოწყობა- 350 000, მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის განვითარება-5800 000, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები-800000, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები-1200000, რაც შეეხება იმ უამრავ ინფრასტრუქტურულ პროექტს, რომელიც განსახორციელებელია, მოვიაზრებთ იმ 40 000 000-დან რომელსაც ცენტრალური ხელისუფლება დაგვპირდა, შესაბამისად, როგორც გამოცდილებიდან ვიმსჯელებთ, იქმნება კომისიები, ვიმსჯელებთ პრიორიტეტების მიხედვით, თქვენთან ერთად დავალაგებთ, რაც

2026 წლისთვის მნიშვნელოვანი და საჩქაროა და ამის შემდეგ განისაზღვრება დანარჩენი ბიუჯეტი. ჩვენი ბიუჯეტი საერთო ჯამში წარმოდგენილია 127 მილიონი ლარით."

კომისიის წევრი ბატონი **ა.კოპალეიშვილი:** „იმ ქვეპროგრამებში, სადაც ეხლა ჩვენ 0 გვიწერია, ვამბობთ, რომ დაფინანსება როდესაც გვექნება, შემდეგ მოხდება ამათი გათვალისწინება, თუმცა ეს 40 000000-ის დაპირება რომ ვერ შესრულდეს, ხომ არ გამოვა ისე რომ ამხანაგობები მთელ რიგ საჭიროებებთან მარტო დარჩებიან, მეორე საკითხი -ეს თანხები საიდან შეიძლება იქნეს გამონახული, იმ კუთხით ხომ არ ვიმსჯელოთ მაგალითად თუ სადმე ზრდა გვაქვს ბიუჯეტში, ამ ზრდის გამომწვევ ფაქტორებზე ვისაუბროთ, თუ მაგალითად სადღაც შეიძლება ამ ეტაპზე არ გავზარდოთ ბიუჯეტში თანხა, ეს თანხა გადავიტანოთ იმ ქვეპროგრამებში სადაც 0 ლარია განსაზღვრული და დაფინანსების მიღების შემთხვევაში, კვლავ დავაბრუნოთ უკან. "

კომისიის წევრი, ქალბატონი **მ.ნიჟარაძე:** „კვლავ დავუბრუნდები ჩემს მიერ დასმულ პრობლემას, ცენტრალური ხელისუფლებიდან გამოყოფილ თანხებში მეეჭვება გათვლილი იყოს სოციალურად დაუცველთა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, ვიფიქროთ ამაზე, ხომ არ სჯობს თავიდანვე დავგეგმოთ, გამოვყოთ თანხა ადგილობრივ ბიუჯეტში, რამდენად არის ეს ყველაფერი შესაძლებელი."

ბატონი **ო.ფანცხავა:** „თქვენს მიერ დასმულ საკითხებს განვიხილავთ, გავითვალისწინებთ შემლებისდაგვარად, მაგრამ თუ კი ჩვენ ყველა პრობლემის მოგვარებას ამ თანხით შევეცდებით, ჩვენი ქალაქის მაჩვენებლები არაა დამოკიდებული ჩვენზე, ეს მაკროეკონომიკური მაჩვენებლები მთლიან ქვეყანაში არსებული მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პირდაპირპროპორციულია და ამის მიხედვით დგება ჩვენი ბიუჯეტი, ჩვენ სამწუხაროდ სხვა შემოსავლები არ გვაქვს გარდა ქონების გადასახადისა და პრივატიზაციით მიღებული შემოსავლებისა. ამ კუთხით გაზრდაზე უნდა ვიფიქროთ, მიუხედავად იმისა, რომ მატება გვაქვს ამ მხრივ, ეს იმხელა თანხა არაა, რომ ადგილობრივი საჭიროებები გადავფაროთ, რაც შეეხება თქვენს მიერ შემოთავაზებულ წინადადებებს, ვიმსჯელებთ და შეძლებისდაგვარად გავითვალისწინებთ განახლებული ბიუჯეტის პროექტში."

კომისიის წევრი ბატონი **ა.კოპალეიშვილი:** შევეხები რგფ-სთან ჩვენ მიერ გადაგზავნილ წინადადებებს, აქ იყო ლიფტების თემაც, სადაც 450 000 ლარზე იყო საუბარი და ახლა წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში ლიფტებში 0 წერია, იმის იმედად ვართ, რომ იმ თანხიდან განხორციელდება, იქ არის ბევრი საყრდენი კედელი (დაახლოებით მილიონნახევრის ღირებულების) და სხვა ობიექტები, ანუ ჩვენ ეხლა ველოდებით თანხებს და პროექტების დაფინანსებას, რომლებიც მერე ისედაც აისახება და სოლიდურიც იქნება, ერთს ვიკითხავ კიდევ და გათვალისწინება ვფიქრობ აუცილებელია, სოციალურად დაუცველი ოჯახების სახურავის მოწყობა/რეაბილიტაციის პროგრამაც 0 ლარით არის განსაზღვრული, არ მგონია იმ თანხებში, რასაც ჩვენ ველოდებით, ეს პროგრამა გათვლილი იყოს და ამიტომ ადგილობრივი ბიუჯეტიდანდან აუცილებლად გასათვალისწინებელია ეს საკითხიც."

კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **გ.იობაშვილი**: „ლიფტების თემას დავუბრუნდები, როგორც მახსოვს განცხადებების მიხედვით, 400 განცხადებაზე მეტია შემოსული, წელს დაფინანსდა 30 ერთეული, ხომ არ ვიფიქროთ თანადაფინანსების გაზრდაზე, რათა

რაოდენობრივად მეტი მოქალაქის განცხადება დავაკმაყოფილოთ, მოთხოვნა შეუსაბამოა თუ ამ ტემპით გავაგრძელებთ, 10 წელი მოვუნდებით მარტო იმ განცხადებების დაკმაყოფილებას რაც ამ წუთისთვის არის შემოსული."

ბატონი **ო.ფანცხავა**: „ამ თემაზე გვქონდა საუბარი, 2026 წლის ბიუჯეტში გათვლილი იქნება 60 ლიფტამდე, შესაძლებელია არსებული პრობლემა ვერც ამ რაოდენობის ლიფტების რეაბილიტაციამ აღმოფხვრას, თუმცა ყოველწლიურად მზარდი იქნება ეს რიცხვი და ნელ-ნელა მოგვარდება ქალაქში არსებული პრობლემა."

კომისიის წევრი ბატონი **ა.კოპალეიშვილი:** „რომ გადავხედეთ პარკინგსერვისის შემოსავლებს და ტენდენციას ზოგადად, არის იქ საშუალება, რომ მეტი თანხის აკუმულირება მოხდეს ბიუჯეტში მაგალითად ხომ არ გვეფიქრა ზონალურ პარკირებაზე, საათობრივი პარკირება შემოვიღოთ, ეს ბევრ რამეს ემსახურება, ერთის მხრივ შემოსავლების ზრდას, მეორეს მხრივ- ქალაქი განიტვირთება და თავიდან ავიცილებთ საცობებს გარკვეულწილად."

ბატონი **ო.ფანცხავა**: „აღნიშნული მართლაც გამოასწორებდა ქალაქში სატრანსპორტო პრობლემებს, მითუმეტეს თუ შევხედავთ ბათუმს და თბილისს, იქ მოქნილი მექანიზმია თქვენს მიერ ხსენებული, შემოსავალიც გაცილებით მეტია, განვიხილავთ ამ შემოთავაზებასაც და თქვენთან შეთანხმებით გავალთ შედეგზე."

კომისიის წევრი ქალბატონი **თ.მებურიშვილი:** „მადლობა წარმოდგენილი პროექტისათვის, რამდენიმე დეტალური ინფორმაციის მიღების მიზნით დავსვამ კითხვებს, აქ არის ნახსენები სუბსიდიები, კონკრეტულად რა სუბსიდიებს გულისხმობს ეს თანხა? ასევე მაინტერესებს შრომის ანაზღაურების თანხები ცოტა გაზრდილია, ეს გამოწვეულია დამატებით შექმნილი სამუშაო ადგილების გამო თუ მაგალითად დასაქმებული ადამიანების ხელფასები გაიზარდა?"

ბატონი **ო.ფანცხავა**: „როგორც მოგეხსენებათ ჩვენმა მთავრობამ განაცხადა ამის შესახებ, წინა 3 წლის განმავლობაში იყო ხელფასების 10 პროცენტიანი ზრდა, და ახლაც ამის ხარჯზეა თანხა გაზრდილი, რაც შეეხება სუბსიდიებს, ჩვენგან ბევრი პროგრამა სუბსიდირდება, მაგალითად ტრანსპორტი, ასევე ზოგიერთი კონკრეტული აიპი."

კომისიის წევრი ქალბატონი **თ.მებურიშვილი: „**მთლიანობაში, რომ შევაფასო ბიუჯეტის პროექტი, ხაზს გავუსვამ ისევ ხარჯების ნაწილს, არ ვიცი მეტი ფული როგორ შეიძლება უკან დაუბრუნდეს ხალხს, თქვენ აღნიშნეთ ქონების გადასახადის გაზრდით შესაძლებელია დაგვრჩეს მეტი თანხა, ასევე პრივატიზაციის საშუალებით, რაც შეეხება ჩემ პოზიციას არ ვემხრობი ქონების გადასახადის ზრდას, თუმცა პრივატიზაციით მიღებული თანხების მომხრე რათქმაუნდა ვარ, შევეხები თქვენს მიერ ნახსენებ ზონალურ პარკირებას და დავაფიქსირებ ჩემს პოზიციას, მე ვფიქრობ, ადამიანებს მეტი კომფორტი შევუქმნათ და მარტივი გავხადოთ ცხოვრება და დამატებითი გადასახადის დაკისრებით მაშინ, როდესაც არსებული პარკირებაც მოუწესრიგებელია, ეს ვერ მოხდება, ვფიქრობ, ამ წესის შემოღება ვერ გადაწყვეტს ქალაქში არსებულ პრობლემას, პრობლემამ შესაძლოა გადაიაროს ადამიანების კისერზე, შეჭირვებული ადამიანები, ვინც თანხას ვერ გადაიხდის არ დააპარკინგებს მანქანას, ხოლო შეძლებული ადამიანებისთვის არსებითად არაფერი შეიცვლება და კვლავ დააყენებენ

ავტომობილებს 10 და 15 საათი, სადაც სურვილი ექნებათ, გაჭირვებული ადამიანების ხარჯზე არ უნდა მოხდეს პრობლემის მიმალვა, ეს რათქმაუნდა ჩემი სუბიექტური აზრია."

კომისიის წევრი, ბატონი **ა.კოპალეიშვილი:** „გაგცემთ პასუხს თქვენის ნებართვით, ჩვენ გუნდმა გადავწყვიტეთ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოწესრიგება, ამაში სოლიდური თანხებია ჩადებული, ეს ემსახურება იმას, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების კულტურა უფრო მეტად იყოს განვითარებული ჩვენს ქალაქში, რაც განტვირთავს მოძრაობას, ამასთან ბმაში თუ ჩვენ ზონალურ პარკირებას შემოვიღებთ, ვფიქრობ პრობლემა მნიშვნელოვნად მოგვარდება, ფაქტობრივად მზად ვართ კომფორტული ავტობუსებით გადავაადგილოთ ჩვენი თანაქალაქელები, გეგმაშია დამატებით ახალი ტრანსპორტის შეძენაც, აქედან გამომდინარე თუ ჩვენ მოქალაქეებს სტიმულს მივცემთ იმგზავრონ საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ვფიქრობ პიკი საათებში განსაკუთრებით განიტვირთება ქალაქი და უფრო მარტივი იქნება გადაადგილება."

ბატონი **ო.ფანცხავა:** „განმარტებას გავაკეთებ ქონების გადასახადთან დაკავშირებით, დავაკონკრეტებ, ჩვენ რაც არ უნდა მოვინდომოთ ქონების გადასახადს ვერ გავზრდით, ეს სახელმწიფოს მიერ არის დაწესებული, ჩვენთან ხდება უბრალოდ ბიუჯეტში შემოსვლა, თორემ კიდევ ერთხელ ვიტყვი, დაწესებულ ტარიფს ჩვენ ვერ შევცვლით, მე ყურადღება გავამახვილე იმ კუთხით, რომ მეტი შემოსავალი არ აქვს ჩვენს ქალაქს, როგორც მაგალითად ბათუმს, მარნეულს და ასე შემდეგ."

კომისიის წევრი, ბატონი **ა.კოპალეიშვილი:** „სხვათა შორის შემოსავლების ზრდასთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო იქნება, როდესაც დასუფთავების მოსაკრებელს ვიღებთ, იქ არის ორი მიმართულება, კომერციული დაწესებულების მიერ გადახდილი მოსაკრებელი და მოქალაქეების მიერ გადახდილი მოსაკრებელი, ბევრჯერ გვიმსჯელია ამ თემაზე და მოქალაქეებისგან შემოსული შემოსავლის ნაწილში ზრდა არ გვაქვს, ხომ არ აჯობებს უფრო მეტი საინფორმაციო კამპანია ვაწარმოოთ, თანხის გადახდის სერვისებთან დაკავშირებით, შეიძლება რაიმე სხვა ხერხის მოფიქრებაც, საუბარია წელიწადში დაახლოებით ამოუღებელ 700 000 ლარზე, საკმაოდ სოლიდური შემოსავალი იქნებოდა თუ მოვიფიქრებდით რაიმე მეთოდს, იქნებ მოქალაქეები წავახალისოთ, ვიფიქროთ ამაზე."

ბატონი **ო.ფანცხავა:** „დამერწმუნეთ ბევრი აქვს ნაფიქრი ამასთან დაკავშირებით დასუფთავების სამსახურსაც, ისედაც მიზერული თანხაა დაწესებული დასუფთავების მოსაკრებელი თითო სულზე 1 ლარი, ბოლო 4 წელია არ გაზრდილა შემოსავლები ამ კუთხით, შესაბამის სამსახურებთან ერთად შეიძლება საკითხის გავლა, თუმცა ისინი მუდმივად მუშაობენ ამ თემაზე."

კომისიის წევრი, ქალბატონი **მ.ნიჟარაძე**: „2015 წელში მე ვიყავი მერის წარმომადგენელი და იმ პერიოდში ადმინისტრაციული ერთეულები მაქსიმალურად ჩართულები იყვნენ, თანამშრომლები ოჯახებში არიგებდნენ ბუკლეტებს ცნობიერების ამაღლების მიზნით, დასუფთავების გადასახადის გადახდის წესებისა და გადასახადის გადაუხდელობის შედეგად დამდგარი შედეგების შესახებ. დამერწმუნეთ ეს დღესაც იმუშავებს და აღმასრულებელთან ერთად გავიაროთ უმჯობესი იქნება."

კომისიის წევრი, ბატონი **მ.სინაურიძე:** „მოგესალმებით, ჩვენი ბიუჯეტის დიდი ნაწილი იხარჯება ინფრასტრუქტურულ პროექტებში, ვაკეთებთ სამშენებლო პროექტის შესყიდვას, რის საფუძველზეც ხორციელდება სამშენებლო სამუშაოები, ვაკეთებთ ასევე პროექტის ექსპერტიზას, მე მაინტერესებს რა სახის ექსპერტიზა უტარდება პროექტს?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **დავით ჭეიშვილი:** „ძირითადად კეთდება შესაბამისობის ექპერტიზა, რამდენად თავსებადობაშია პროექტთან, წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა და მოცულობების გაანგარიშება."

კომისიის წევრი, ბატონი **მ.სინაურიძე:** „პროექტის ხარისხის ექპერტიზა ან კონსტრუქციული და არქიტექტურული ექსპერტიზა რომ გავაკეთოთ, თანხას მაინც ვხარჯავთ და უკეთესად შესრულებულ სამუშაოებს ხომ არ მივიღებდით?"

ბატონი **დავით ჭეიშვილი:** „ხშირ შემთხვევებში ძალიან ხარისხიანად ხორციელდება, თუმცა ამ საკითხზე მსჯელობა შეიძლება.

კომისიის წევრი, ბატონი **მ.სინაურიძე:** „დამერწმუნეთ უფრო დიდ შედეგს მივიღებთ, თანხა იგივე დაიხარჯება და შესრულებული სამუშაოები უფრო ეფექტური იქნება."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **გიორგი იობაშვილმა** დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 7 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიორგი ჭიღვარია, მაგდა კოსტავა, ლაშა გვენეტაძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-6 წევრი, თავი შეიკავა- **თეკლა ბაბუნაშვილმა**)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

აღმასრულებელი ორგანოს მიერ წარმოდგენილ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტში ინფრასტრუქტურის პროგრამის რამდენიმე ქვეპროგრამის, კერძოდ, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების სრული რეაბილიტაცია, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების წყალსაწრეტი მილების და პარაპეტების რეაბილიტაცია, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მცხოვრებთათვის სხვადასხვა სახეობის მასალის შეძენა-გადაცემა და დაზიანებული სახურავების კაპიტალურად შეკეთება, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარდაფებში წყლის ამოსატუმბი მოწყობილობების შესყიდვა-გადაცემა, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების ავარიული სახურავების რეაბილიტაცია, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების ფურნიტურა, ბიუჯეტი განსაზღვრულია 0 ლარით. გამომდინარე იქედან, რომ ზემოხსენებულ

ქვეპროგრამებთან დაკავშირებით, ქალაქის მოსახლეობის მიერ საკმაოდ დიდი მომართვიანობაა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, გამოიძებნოს შესაბამისი თანხები და ასახვა ჰპოვოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის ინფრასტრუქტურის პროგრამის შესაბამის ქვეპროგრამებში.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
გიორგი იობაშვილი